



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31213611

თარიღი:27/12/2021

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №74

2021 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

### ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს - გადასცეს ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“ (ს/ნ 406080529) 15 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი (ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება, სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ პოპულაციისათვის სამედიცინო საერვისების უფასო მიწოდება) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შუხუთში მდებარე 1782 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები. (ს/კ 27.05.44.009)

**მუხლი 2.** სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს ერთი ლარის ოდენობით.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

